https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.13

ქალთა ემანსიპაციის საკითხი თამარ პაპავას ადრეულ პუბლიკაციებში
THE ISSUE OF WOMEN'S EMANCIPATION IN TAMAR PAPAVA'S EARLY PUBLICATIONS

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nestan kutivadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Tamar Gogolashvili-Papava is one of the prominent representatives of the 20th-century Georgian emigration with a diverse legacy, in which the relevant and important issues of the era are well reflected. The problem of women›s emancipation should also be singled out among them.

It is known that the issue of women›s emancipation became particularly acute in the second half of the 19th century both in America and Europe, and this movement had a resonance in Georgia. Women›s struggle for their rights was quite a complex and contradictory process. It was prompted not solely by the conservatism of patriarchal society but was also entangled with various other social issues.

In 1909-1910, Tamar Papava addressed these issues through a series of articles in newspapers published in Georgia ('Momavali' (Future), 'Akhali Skhivi' (New Ray)). In addition to being informative and often educational in nature, these articles also reflected the situation in Georgia, which was quite difficult in this regard.

When writing about these issues, Tamar Papava gave an overview of the situation in Europe, America, Finland, Norway, and Russia, and analyzed the active struggle of women for their rights, which was caused by changes in the political and economic spheres. She did not share the opinion that women were naturally characterized by weakness and inactivity, which placed them on a relatively low social level compared to men. She emphasized the class aspects in the women›s movement, their involvement in politics and so on.

Tamar Papava›s correspondence clearly highlights the seriousness of the problem itself, the attitude of a traditional society towards the status of women, and the struggle of women to change the existing reality. Despite the descriptive nature of these articles, the accents in them still clearly reveal the author›s irreconcilability with the difficult social status of women.

საკვანძო სიტყვები: ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, თამარ პაპავას პუბლიცისტიკა, ქალთა ემანსიპაცია, გენდერი.
Keywords: Georgian immigrant literature, Tamar Papava›s publicism, women›s emancipation, gender.

თამარ გოგოლაშვილი-პაპავა XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია (იხ. დაუშვილი 2014: 211-215; ნიკოლეიშვილი 2006: 393-416; შარაძე 1990: 3-4) მრავალფეროვანი მემკვიდრეობით, რომელშიც კარგად აისახა ეპოქის აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის უნდა გამოიყოს ქალთა ემანსიპაციის პრობლემაც.

ცნობილია, რომ ქალთა ემანსიპაციის საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში, რასაც თავისი გამოძახილი მოჰყვა საქართველოშიც. ქალთა ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესი იყო. ამ ვითარებას არ განაპირობებდა მხოლოდ პატრიარქალური საზოგადოების კონსერვატიზმი, ის გადაჯაჭვული იყო სხვა სოციალურ თემებთანაც.

თამარ პაპავამ 1909-1910-იან წლებში საქართველოში გამომავალ გაზეთებში არაერთი პუბლიკაცია გამოაქვეყნა ამ საკითხებთან დაკავშირებით. ეს წერილები, გარდა იმისა, რომ ინფორმაციულ და, არცთუ იშვიათად, საგანმანათლებლო ხასიათსაც ატარებდა, ამასთანავე აჩვენებდა საქართველოში ამ თვალსაზრისით შექმნილ საკმაოდ მძიმე მდგომარეობას.

თამარ პაპავა ამ საკითხებზე წერისას მიმოიხილავდა ვითარებას ევროპაში, ამერიკაში ფინეთში, ნორვეგიასა თუ რუსეთში, აანალიზებდა ქალთა მიერ საკუთარი უფლებებისათვის დაწყებულ აქტიურ ბრძოლას, რომელიც განპირობებული იყო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში მომხდარი ცვლილებებით. ის არ იზიარებდა მოსაზრებას, რომ ქალისთვის ბუნებრივად იყო დამახასიათებელი სისუსტე და უმოქმედობა, რაც მას მამაკაცთან შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე აყენებდა, ყურადღებას ამახვილებდა ქალთა მოძრაობაში კლასობრივ ასპექტებზე, ქალების პოლიტიკაში ჩართვასა და სხვა მტკივნეულ თემებთან დაკავშირებით.

1909 წელს გაზეთში „მომავალი“ (№35, 1909ა) თამარ პაპავა აქვეყნებს წერილს „ქალთა საკითხი“. მართალია, სტატიას ავტორმა მიაწერა ლექსემა „გაკვრით“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზოგადად ეხებოდა მასში წამოჭრილ საკითხებს, თუმცა მის მიერ დასმულმა აქცენტებმა კარგად აჩვენა მაშინდელი ტენდენციები და ავტორის შეხედულებებიც აღნიშნულთან დაკავშირებით.

პუბლიკაცია XIX საუკუნეში საკუთარი უფლებებისათვის დაწყებულ ქალთა აქტიურ ბრძოლას შეეხება. როგორც თ. პაპავა მართებულად შენიშნავს, ამ პერიოდში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში მომხდარმა ცვლილებებმა, კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა თავისთავად გამოააშკარავა ქალთა მძიმე სოციალური მდგომარეობა და გარდაუვალი გახადა მათი ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის.

თამარ პაპავა არ იზიარებს შეხედულებას, რომ ქალისათვის ბუნებრივადაა დამახასიათებელი სისუსტე, შეუგნებლობა, უმოქმედობა, რის გამოც სოციალურად მამაკაცს ქალზე მაღლა აყენებდნენ. მიაჩნია, რომ წარსულში მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქალი უკეთეს მდგომარეობაში არც კაპიტალიზმის ფორმაციას ჩაუყენებია, მეტიც, დამცირებულები

აღმოჩნდნენ შეძლებული ქალბატონებიც, რადგან „იმავე კაპიტალმა ისინი სათამაშო ლამაზ ნივთათ აქცია და მათი პიროვნება ერთავათ ვნებათა ღელვას დაუმორჩილა ხოლმე" (ქოჩრიანი ტოროლა 1909ა: 2), რასაც ბუნებრივად მოჰყვა მათი წინააღმდეგობაც.

წერილში თ. პაპავა ყურადღებას ამახვილებს ამ ბრძოლის ისეთ ასპექტებზე, რომლებიც კლასობრივ საკითხებს მოიცავს. აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობა სრული პოლიტიკური ემანსიპაციისათვის, მამაკაცებთან უფლებრივი გათანასწორებისათვის იბრძოდა, მაგრამ კლასობრივი ინტერესები მათ არ გააჩნდათ მაშინ, როდესაც პროლეტარი ქალები მუშათა კლასის სოციალურ ბრძოლას უერთდებოდნენ და მდგომარეობაც მათნაირი ჰქონდათ. უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევრები თანაბრად აღიარებდნენ ორივე სქესს და თვლიდნენ, რომ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა დაასრულებდა მათს მონობასაც და მათი პიროვნული ავტონომიაც აღდგებოდა. როგორც სტატიიდან ირკვევა, ამ შეხედულებას სავსებით იზიარებდა თამარ პაპავაც.

რუსეთში ქალთა ბრძოლის თავისებურებებზე პუბლიცისტი საგანგებოდ ჩერდება. მისი აზრით, შრომისა და სწავლის თავისუფლების მოთხოვნამ ქალთა ასპარეზი გააფართოვა, მაგრამ ეს მაინც მაღალი წოდების წარმომადგენელთა წრეებს მოიცავდა და არ გულისხმობდა პოლიტიკურ თუ სოციალურ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც ნიადაგი არ იყო მომწიფებული. მაღალი წოდების წარმომადგენლები კი ძირითადად ფილანტროპიით იყვნენ დაკავებულნი, რისი შედეგიც იყო რუსეთში გავრცელებული საქველმოქმედო საზოგადოებები. იმასაც მიაქცევს მკითხველის ყურადღებას, რომ იანვრის (იგულისხმება მუშათა გამოსვლების სასტიკი დარბევა პეტერბურგში 1905 წ. 9 იანვარს – ნ.კ.) მოვლენების შემდეგ რუსეთის „მყუდრო ქალთა ორგანიზაციებში" რევოლუციური იდეები შეიჭრა. რუსი ქალები მიტინგებზე სიტყვით გამოდიოდნენ და თავისუფლებას მოითხოვდნენ.

წერილში, სხვა საკითხებთან შედარებით, უფრო კონკრეტულადაა მიმოხილული რუსეთის ქალთა მოძრაობაში არსებული სხვადასხვა მიმართულება და ქალთა პირველი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება. აღნიშნულია, რომ, რუსეთისგან განსხვავებით, სადაც ღრმად გაიდგა ფესვები ქალთა მოძრაობამ, კავკასიელი ქალები ამ მხრივ ჯერ კიდევ არ გააქტიურებულან. „მართალია, აქა-იქ, თოთო-ოროლა პირი დროგამოშვებით ამა თუ იმ ორგანიზაციაში გამოერევა, მაგრამ ეს წვეთია ზღვაშიო", – წუხს თ. პაპავა (ქოჩრიანი ტოროლა 1909ა: 3). ამასთან, მიესალმება იმ დროისათვის ახლად დაარსებულ „კავკასიელ ქალთა საზოგადოებას" და იმედს გამოთქვამს, რომ საბოლოოდ კავკასიელი ქალებიც პროლეტარიატთან ერთად შეძლებენ გამარჯვების მოპოვებას. ამ ეპიზოდში კარგად ჩანს თამარ პაპავას იდეოლოგიური პრეფერენციები, რომლებიც მოგვიანებით რადიკალურად შეიცვალა. ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ დროს საქართველოში ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაწყებული არ იყო, მაგრამ თ. პაპავას მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანი იყო, მას მეტი მიზანდასახულება და დიდი ენერგია შეეძინა.

თამარ პაპავას წერილებში კარგად იკვეთება პროსტიტუციის, როგორც ქალთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ნებაყოფლობითი ექსპლუატაციის, ფორმის ძალადობრივი ხასიათი და მისი პირდაპირი კავშირი ქალთა უფლებრივ მდგომარეობასთან. „ეს საშინელი სენი ღვიძლი შვილია კაპიტალისტური წარმოებისა და რამდენათ უფრო წინ მივდივართ, იმდენათ უფრო ვითარდება და ვრცელდება, მან არ დაინდო არავინ: გახრწნა დედა, მამა, პატარა ბავშვები, დაუკარგა დედობრივი გრძნობა დედას, გააბოროტა მამა, გაათახსირა და დაუკარგა უმანკოება ქალიშვილს, ბავშვს“, – წერს პუბლიცისტი (ქოჩრიანი ტოროლა 1909ა: 2) ზემოთ განხილულ წერილში და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საზოგადოების იმ უღარიბეს ნაწილზე, რომლისთვისაც ის, ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, არსებობის წყაროდ, შიმშილისაგან სიკვდილის თავდაღწევის საშუალებად იქცა. ევროპის ქვეყნებთან ერთად, თამარ პაპავას ამერიკის მაგალითიც მოჰყავს, როგორც შესანიშნავი ნიმუში, სადაც ქალებმა მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება და საზოგადოებრივ საქმეებშიც წინ მიდიან, არიან მსაჯულებიც, ვექილებიც და პროფესორებიც. თ. პაპავა, ასევე, ბედნიერ მხარედ მოიხსენიებს ავსტრალიას, ფინეთს (ფინლანდიას), სადაც ქალებს საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის უფლება ჰქონდათ და სეიმში ოცდარვა ქალი დეპუტატი ჰყავდათ. ქალთა უფლებებისათვის დაწყებული ბრძოლის გამო ეხება, ასევე, ინგლისში, იტალიაში, ბულგარეთსა და სხვ. ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის, თურქეთსა და ირანსაც კი.

ქალთა პროსტიტუციის საკითხს ეხება 1910 წელს გაზეთ „ახალი სხივში“ გამოქვეყნებული წერილიც „კავკასიელ ქალთა საზოგადოების კრება“ (ახალი სხივი 1910ა, №30). პუბლიკაცია შეიცავს ინფორმაციას კავკასიელ ქალთა საზოგადოების კრების შესახებ, რომელსაც თავისი წარმომადგენელი უნდა გაეგზავნა პეტერბურგში „როსკიპობასთან მებრძოლი საზოგადოების“ ყრილობაზე. ამ მიზნით საგანგებო კომისიაც კი აურჩევიათ. კომისიას თბილისში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში არსებული ვითარება უნდა შეესწავლა. თბილისში კომისიას შეკრებაზე მიუწვევია როსკიპების მკურნალი ექიმი ისტამანოვი.

როგორც პუბლიკაციიდან ირკვევა, კრების დღის წესრიგში ყოფილა პროსტიტუციასთან ბრძოლისა და როსკიპთა წინააღმდეგ არსებული „რეგლამენტაციის“ საკითხები. სტატიიდან ვიგებთ, რომ პროსტიტუცია საკმაოდ სწრაფად ვრცელდებოდა თურმე მოზარდებში, მასთან ბრძოლის კარგ გამოსავლად კი სპეციალური თავშესაფრები მიუჩნევიათ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახლებიდან გარბოდნენ როგორც პეტერბურგში, ისე ევროპაში. თამარ პაპავას აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ექიმმა ისტამანოვმა, მეცნიერთა შეხედულებებზე დაყრდნობით, გარყვნილება ადამიანის თანდაყოლილ თვისებად მიიჩნია (ქოჩრიანი ტოროლა 1910ბ: 3), თუმცა გარყვნილების წარმომშობ ერთ-ერთ მიზეზად სოციალ-ეკონომიკური პირობებიც დაასახელა. „...რა ალაგი აქვს იქ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, როცა დედაკაცს თურმე თვით ბუნებაში ქონია ჩასახული გარყვნილება“, – წერს პუბლიცისტი (ქოჩრიანი ტოროლა 1910ბ: 3), რომელიც ექიმის მსჯელობას წინააღმდეგობრივად თვლის, რადგან, თუ

ექიმი გარყვნილების მიზეზად სოციალ-ეკონომიკურ პირობებს მიიჩნევდა, მაშინ რით უნდა ახსნილიყო ექიმის მიერვე დასახელებული სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი როსკიპი შემატებია ამ კატეგორიის ქალთა მზარდ რაოდენობას.

თ. პაპავა ყურადღებას ამახვილებს ექიმ ქალ შერბანინას გამოსვლაზე. ექიმი კონკრეტული მაგალითებითა და ასეთ ქალებთან ურთიერთობის პირადი გამოცდილებით ასაბუთებს, რომ ქალები როსკიპებად არ იბადებიან და, თუ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება, შემცირდება „ადამიანის დამამცირებელი ხელობა – თავის გაყიდვა“ (ქოჩრიანი ტოროლა 1910ბ: 4). ექიმ შერბანინას აზრით, პროსტიტუციის რეგლამენტაცია კიდევ უფრო ამძიმებს ქალთა მდგომარეობას, რადგან მეძავის იარლიყი მთლიანად უჭრის პატიოსანი ცხოვრების გზას მსხვერპლ ქალს (იქვე). წერილში აქცენტირებულია, რომ შერბანინა ამ ვითარებაში თანაბრად დამნაშავეებად ასახელებს მამაკაცებსაც: „რატომ ქალი უნდა იყვეს პოლიციის მხედველობის ქვეშ და ატარებდეს სამარცხვინო ბილეთს და არა ის „ბატონები“, რომლებიც უტიფრათ რყვნიან მოახლეებს, გუვერნანკებს? რატომ უნდა იყოს ქალის ხვედრი ტანჯვა-წვალება და მამაკაცთა ხვედრი კი კანონების და „რეგლამენტაციების“ წერა? თავიანთ მსხვერპლის დასასჯელათ?“ – აღნიშნულია პუბლიკაციაში (ქოჩრიანი ტოროლა 1910ა: 3). ასეთი პასაჟები სავსებით მკაფიოს ხდის ავტორის პოზიციას, ერთი შეხედვით, მშრალ, ინფორმაციულ წერილში.

სტატია, ასევე, ეხმაურება გარყვნილების მოწესრიგების აუცილებლობას. ამ მიზნით ქალაქის თვითმმართველობის მიერ საროსკიპო სახლების აგებისა და ექიმების საჭიროებას, რომ თავიდან აიცილონ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სენი. ხაზგასმულია, რომ რეგლამენტაცია ერთხმად იქნა უარყოფილი და როსკიპობის შემცირების მაგალითად დასახელებულია ფინეთის გამოცდილება, სადაც მას შემდეგ, რაც ქალებმა ხმის უფლება მიიღეს და ჩაებნენ სახელმწიფო და საზოგადო საქმეში, გარყვნილება საგრძნობლად შემცირდა.

პუბლიკაცია კარგად აჩვენებს საქართველოში არსებულ რთულ ვითარებას, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, სიღარიბისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ხვდებოდნენ ქალები, თუმცა აქვე ისიც აშკარაა, რომ ეს მოვლენა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობდა და მისი გადაჭრის გამოცდილებაც ასევე არსებობდა, რომლის გაზიარებაც, კრების მონაწილეების მსგავსად, წერილის ავტორსაც გონივრულად მიაჩნდა.

თამარ პაპავამ არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის თემას. გაზეთ „მომავალში“ (1909ა, №46) გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილით ავტორი ეხმაურება ევროპაში გააქტიურებულ მოძრაობას ერობების მუშაობაში ქალების მონაწილეობის უფლების მოპოვების ფაქტს და, ამ მხრივ, რუსეთსა და, შესაბამისად, თბილისში შექმნილ რეალობას. როგორც პუბლიკაციიდან ირკვევა, თბილისში ჩატარებულმა საგუბერნიო საერობო თათბირმა ქალებს უფლება მისცა „კაცებთან ერთად პირადათ მიიღონ მონაწილეობა საერობო დაწესებულებაში“ (ქოჩრიანი ტოროლა 1909ბ: 3). თ. პაპავა აღნიშნავს, რომ

ეს საკითხი მწვავეა ევროპაშიც და რუსეთშიც – ყველგან, სადაც ქალები ცდილობენ გათავისუფლებასა და უფლებრივი თანასწორობის მოპოვებას. წერილიდან ვიგებთ, რომ კავკასიელი ქალები ჯერ კიდევ არ იჩენდნენ ინიციატივას, თუმცა ჟურნალისტი ხაზს უსვამს ამ მხრივ საქართველოში შექმნილ სპეციფიკურ ვითარებასაც, რომელშიც იგულისხმება ქალთა ემანსიპაციის საკითხის მამაკაცების მიერ გააქტიურება საერობო შეკრებებზე. „ერთ ხანს ბედი არ უღიმოდა ქალთა უფლებების საკითხს თათბირზე, მარა ბოლოს მაინც თათბირმა ხმის უმეტესობით მიიღო ფორმულა, რომელიც უფლებებს ანიჭებს კავკასიელ ქალებს იყვნენ არჩეულნი და ირჩევდენ თავიანთ წარმომადგენლებს საერობო დაწესებულებებში“, – ვკითხულობთ პუბლიკაციაში (ქოჩრიანი ტოროლა 1909ბ: 3).

მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა, ფორმულას ჰყოლია მოწინააღმდეგეებიც. წერილში იმაზეც არის საუბარი, რომ თათბირის წევრმა ბ. გვაზავამ ენერგიულად გაილაშქრა ამგვარი მიდგომის წინააღმდეგ. თ. პაპავა აღშფოთებულია გვაზავასა და მისი მხარდამჭერების ამგვარი დამოკიდებულების გამო და შეახსენებს მათ, რომ ქალებისათვის უფლებების მინიჭება წარმოუდგენელია საზოგადოების შეშფოთების საგანი ხდებოდეს, მით უფრო, რომ, როგორც პუბლიკაციიდან კარგად იკვეთება, ქალები კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე უკვე საკმაოდ წარმატებულები ყოფილან. „გადაიხედეთ აქ, ჩვენს პატარა სამშობლოში, – განა ცოტა ქალები იღწვიან და შრომობენ საზოგადო ასპარეზზე, განა ბევრი ჩვენი შკოლები ქალაქებში და სოფლებშიაც ქალების ხელმძღვანელობით არ ფენენ შუქს ჩვენს სიბნელეს, განა ცოტანი გვყავს ექიმები და სხვა ასპარეზზე მომუშავე ქალები?! ნუ თუ ჩვენ, ქალები ვერ შევძლებთ საჭირ-ბოროტო კითხვების აწონ-დაწონვას?! ნუ თუ ქალები არ ითმენენ ათასნაირ გაჭირვება-უბედურობას?!“, – წერს თ. პაპავა (ქოჩრიანი ტოროლა 1909ბ: 3), რომელიც უსამართლობად მიიჩნევს რეალურად შექმნილ ვითარებას, როდესაც მამაკაცები ქალებს პრობლემებზე მსჯელობის უფლებას აძლევენ მხოლოდ და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ჩართვა არ სურთ. პუბლიკაცია მკაფიოდ აირეკლავს ტრადიციულ საზოგადოებაში ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპების რღვევის რთულ პროცესს და იმ წინააღმდეგობრივ, გაორებულ დამოკიდებულებას, ამ პროცესს რომ ახლდა.

თამარ პაპავას პუბლიკაციებს ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე ყოველთვის ფართო კონტექსტი აქვს. ასეა ამ შემთხვევაშიც. მას მოჰყავს რუსეთში ქალთა ბრძოლის მაგალითები, საგანგებოდ ჩერდება ევროპის ქვეყნებში ამ მხრივ მიღწეულ წარმატებებზე; აღნიშნავს, რომ ევროპაში უკვე ქალაქის თავებიც კი არიან ქალები, ხოლო ამერიკაში ქალებს ერობაში თვალსაჩინო თანამდებობები უჭირავთ, გამოყოფს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიღწევებს. საგულისხმოა, რომ რუსი ისტორიკოსის პაველ მიუჟევის წიგნზე (იგულისხმება პ. მიუჟევის „თანამედროევ ქვეყნიერების მოწინავე დემოკრატია: ახალი ზელანდია: ინგლისის ახალშენი – ნ.კ.) დაყრდნობით განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ ზელანდიის აყვავება უშუალოდ დაუკავშირდა ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას და დარწმუნებულია, რომ ეს ასევე მოხდება ჩვენშიაც, იმის მიუხედავად, ეყოლება თუ არა ქალთა გააქტიურებას მოწინააღმდეგეები.

1909 წელს თამარ პაპავამ დაბეჭდა პატარა წერილი (ვექილი ქალი), რომელიც რუსეთში ერთი ვექილი ქალის კონკრეტულ ისტორიას გადმოგვცემს (მომავალი 1909ა, №83), თუმცა ამ ფორმით გაცილებით დიდი მნიშვნელობის საკითხი წამოჭრა – ეს არის საზოგადოებაში არსებული უსამართლობა და ქალების დადებითი როლი სოციუმში. „დღეს, როდესაც ასე საჭიროა ხალხისათვის დახმარება, ზნეობრივი გავლენა, მათი სულის გასპეტაკება, დაცემულთა ამაღლება, მაშინ, როცა გაიხრწნა და დაინგრა ოჯახ-სახლ-კუთხე, სწორეთ დღეს არ აძლევენ უფლებას „ძალა მოსილნი და მმართველნი“ ქალებს, დებს, დედებს, ცოლებს დაიცვან თავიანთი შვილნი, ძმები, ქმრები და დები სასამართლოთა წინაშე“, – აღნიშნავს ჟურნალისტი (ქოჩრიანი ტოროლა 1909გ: 3). თ. პაპავა თვლის, რომ ასეთ ვითარებაში ქალს უკეთ შეუძლია გაიგოს სხვისი დედის წუხილი და ზემოქმედება იქონიოს დამნაშავეზე. საკითხის ასე დასმის შემდეგ ხაზგასმულია, რომ XX საუკუნეში ქალი ასეთ უიმედო მდგომარეობაში არ უნდა იყოს და რომ ასეთი რამ მხოლოდ რუსეთსა და სხვა ჩამორჩნილ ქვეყნებში ხდება, რასაც საკმაოდ ლოგიკურად თვლის იმ ქვეყნისათვის, სადაც დუმის ანტისემიტური შეხედულებებით გამორჩეული დეპუტატი ვლადიმერ პურიშკევიჩი საკმაოდ პოპულარულია და ანგარიშს უწევენ.

რუსეთის გაზეთებში გავრცელებული ცნობა რუსეთის ვექილთა კოლეგიაში ვექილის თანაშემწედ პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქალის ქ. ფლეიშიცის ჩარიცხვის შესახებ, დამცველად მუშაობის უფლება რომ არ მისცეს დიდი გამოხმაურების მიუხედავად, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმით, რომ სახელმწიფო სათათბირომ კანონპროექტში დაამატა ისეთი ახალი მუხლები, რომლებიც ადრე თუ გვიან ქალებს ვექილობის შესაძლებლობას დაუბრკოლებლად მისცემდა. ეს ფაქტი თამარ პაპავას თვალსაწიერში შესაძლებელია სწორედ ამ ფაქტის გამოც მოხვდა. მას დიდი იმედი აქვს, რომ, მართალია, საქართველოში მაშინ მხოლოდ იწყებოდა ამგვარი ცვლილებები, მაგრამ ისევე, როგორც ევროპაში, ამერიკაში, ფინეთსა თუ ნორვეგიაში, ქალები გახდებოდნენ ვექილებიც და მსაჯულებიც.

ცალკე უნდა გამოიყოს თამარ პაპავას მიერ ბებელის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილი „ბებელი და ქალთა საკითხი“.

წერილში აქცენტირებულია მუშათა კლასის წინაშე ბებელის დამსახურება, მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ბებელის პროპაგანდა ერთნაირად მიემართებოდა მამაკაც მუშებს და მათ გვერდით მდგომ ქალებს. თ. პაპავა საგანგებოდ ჩერდება ბებელის წიგნზე „დედაკაცი და სოციალიზმი“, ყურადღებას ამახვილებს ბებელის მოსაზრებაზე, რომ მამაკაცებისა და ქალების უფლებრივი თანასწორობის მიღწევა ვერ დაასრულებს საბოლოოდ ამ საკითხს, ის დასრულდება მხოლოდ სოციალური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, როდესაც შეიცვლება დამოკიდებულება „ადამიანთა და სქესთა შორის“ (ქოჩრიანი ტოროლა 1910ა: 3). ამიტომ თავისუფლებისათვის მებრძოლები სოციალიზმისათვის მებრძოლებთან უნდა გაერთიანებულიყვნენ. ამ პათოსს იზიარებს წერილის

ავტორიც. ხაზს უსვამს, რომ გერმანიაში „დედაკაცი და სოციალიზმი“ 40–ზე მეტჯერ გამოვიდა და დიდი გავლენა იქონია გერმანიასა და ევროპაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წარმოებულ ბრძოლაში.

თ. პაპავა მკითხველის ყურადღებას მიაქცევს გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ქალთა მოძრაობების თავისებურებებზე. აღნიშნავს, რომ ამ მხრივ გერმანიაში ქალთა საკითხი არ არის ვიწრო კალაპოტში მოქცეული და ისე დაქუცმაცებული, მაგალითად, როგორც ინგლისში. გერმანიაში მუშა მამაკაცები და მუშა ქალები შეადგენენ ერთ ბანაკს, ხოლო „ბურჟუაზიული ქალები და მამაკაცები“ მეორე ბანაკს, ამიტომ გერმანიაში ბრძოლა საბოლოოდ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის ბრძოლაში ერთიანდება. თ. პაპავა, ასევე, ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ბებელმა სოციალ-დემოკრატების სახელით 1895 წელს რეიჰსტაგს მიმართა და ქალებისათვის სახელმწიფო დაწესებულებებში არჩევისა და მამაკაცებთან ერთად ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება მოითხოვა.

ბებელის მოღვაწეობის მიმართ თ. პაპავას დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა მის მიერ ბებელის საქმიანობისა და ამ წიგნის შეფასებაში. „ნახევარი საუკუნის განმავლობაში აწარმოვა ბებელმა ეს ნაყოფიერი ბრძოლა. და ახლა შეუძლია იამაყოს ამ შრომისა და ამ ბრძოლის ნაყოფით. ვისაც წაუკითხავს ბებელის წიგნი, ვინც გასცნობია მის შრომას, მის ღვაწლს საზოგადოთ მუშებისათვის, მას შეუძლია იგრძნოს და გაიგოს თუ ვინ ყოფილა ეს შესანიშნავი ადამიანი. და რა მნიშვნელობა აქვს მის წიგნს, რომელსაც „დედაკაცის სახარებას“ ეძახიან, ყოველივე უფლებას მოკლებულ მუშა-ქალების შეგნება-განვითარება-მოძრაობისათვის“, – წერს ავტორი (ქოჩრიანი ტოროლა 1910ა: 3). ამ სიტყვებში მკაფიოდაა გამოკვეთილი წერილის სულიკვეთება ბებელის მოღვაწეობის შეფასებასთან ერთად.

თამარ გოგოლაშვილი-პაპავას ადრეული პუბლიკაციები, რომლებიც „ქოჩრიანი ტოროლას“ ფსევდონიმით ქვეყნდებოდა, იმთავითვე გამოკვეთდა ავტორის განსაკუთრებულ ინტერესს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართ. ეს ინტერესი შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა და ზოგადად ქართველი ქალის ისტორიული როლისა თუ თანადროულ პროცესებში მისი ფუნქციის ანალიზი მწერლის მთელი მემკვიდრეობის ერთ-ერთ ძირითად ხაზად იქცა.

ქალთა ემანსიპაციის საკითხებთან დაკავშირებული თამარ პაპავას კორესპონდენციები კარგად აჩვენებს თავად პრობლემის სიმძიმეს, ტრადიციული საზოგადოების დამოკიდებულებას ქალთა მდგომარეობის მიმართ, ბრძოლას ამგვარი რეალობის შესაცვლელად. მიუხედავად ამ წერილების დესკრიფციული ხასიათისა, მათში დასმული აქცენტები მაინც მკაფიოდ ავლენს ავტორის შეურიგებლობას ქალთა მძიმე საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

დაუშვილი 2014: დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია ამერიკაში. თბილისი, 2014.

ნიკოლეიშვილი 2006: ნიკოლეიშვილი ა., ქართული ემიგრანტული მწერლობა. ქუთაისი, 2006.

ქოჩრიანი ტოროლა 1909ა: ქოჩრიანი ტოროლა (თ. პაპავა), ქალთა საკითხი. გაზეთი „მომავალი“, №35, 1909.

ქოჩრიანი ტოროლა 1909ბ: ქოჩრიანი ტოროლა (თ. პაპავა), ქალები ერობაში. გაზეთი „მომავალი“, №46, 1909.

ქოჩრიანი ტოროლა 1909გ: ქოჩრიანი ტოროლა (თ. პაპავა), ვექილი ქალი. გაზეთი „მომავალი“, №83, 1909.

ქოჩრიანი ტოროლა 1910ა: ქოჩრიანი ტოროლა (თ. პაპავა), ბებელი და ქალთა საკითხი. გაზეთი „ახალი სხივი“, №30, 1910.

ქოჩრიანი ტოროლა 1910ბ: ქოჩრიანი ტოროლა (თ. პაპავა), კავკასიელ ქალთა საზოგადოების კრება. გაზეთი „ახალი სხივი“, №30, 1910.

შარაძე 1990: შარაძე გ., თამარ პაპავა, წიგნში გაბნეული საფლავები. თბილისი, 1990: 3-13.